

საქართველოს კონტროლის პალატა



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

3 თებერვალი

„-----“ 2012 წელი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 8100
(01/01/2009-01/01/2011)

ეგზ.2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“
ეკოტურიზმის განვითარების ღონისძიებები

შემაჯამებელი მიმოხილვა

წინასიტყვაობა

დასკვნაში წარმოდგენილია საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოში“ ეკოტურიზმის განვითარების ღონისძიებების შესაბამისობის აუდიტის შედეგები.

აუდიტის ობიექტს წარმოადგენს გარემოს დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს მიერ განხორციელებული პროგრამა „ეკო ტურიზმის განვითარება“ და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შინაარსობრივად ეკო ტურიზმის განვითარებას ემსახურებიან.

აუდიტმა მოიცვა 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდი და ჩატარდა საქართველოს კონტროლის პალატის უფროსი აუდიტორის ელენე ელიზარაშვილის და აუდიტორ-ასისტენტის გიორგი კაპანაძის მიერ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 ივნისის N41/43 ბრძანების საფუძველზე. აუდიტი დაიწყო 2011 წლის 29 ივნისს და დასრულდა 29 ივლისს.

აუდიტი ჩატარდა გერმანიის საერთაშორისო თანამშროლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ეფექტიანობის აუდიტის საპილოტე პროექტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი შედეგები

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ მოუშადავია ეკო ტურიზმის განვითარებისკენ მიმართული ერთიანი სტრატეგია და დეტალური პროგრამა, ხოლო ზოგადი საქმიანობის არსებულ პროგრამას არ გააჩნია კონკრეტული რაოდენობრივი მიზნები.
- პროგრამის მოსალოდნელ შედეგებში არ არის ეკოტურიზმის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისი ჩანაწერი კონსერვაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, რითაც იკარგება პროგრამის „ეკოლოგიური“ შინაარსი.
- სერვისებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპებს.
- სახელმწიფო დაფინანსება არაადეკვატურია ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტისთვის.
- აუდიტებულ პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ ჩაუტარებია დამოუკიდებელი კვლევა ეკო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შედეგის შესაფასებლად.

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	2
ტერმინთა განმარტება	4
შესავალი.....	5
გამოყენებული მეთოდები	6
აუდიტის შესწავლის საგანი	7
1. პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარების“ შეფასება	7
2. ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შეფასება	8
2.1. ვიზიტორთა რაოდენობა, მომსახურებები და შემოსავლები	8
2.2. ინფრასტრუქტურა	12
2.3. გარემოსდაცვითი ცნობიერება, პრომოუშენი (სარეკლამო ღონისძიებები) და სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობა /სასწავლო პროგრამები	13
3. პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარების“ შედეგების მონიტორინგის მდგომარეობა	15
დასკვნები	15
რეკომენდაციები	16
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	17

ტერმინთა განმარტებები, შემოკლებები და აკრონიმები

ნაკრძალი - უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანისგან სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე. ეს კატეგორია შექნილია ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით.

ეროვნული პარკი - მოიცავს შედარებით დიდ ფართობს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის, ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის. ეროვნულ პარკში დაცულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, ერთი ან რამოდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა.

ბიომრავალფეროვნება - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნება. ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემების ერთობლიობა.

თემი - წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ ორ ან მეტი დასახლების გაერთიანებას. როგორც წესი, თემი შედგება სოფლებისაგან.

დტს - დაცული ტერიტორიების სააგენტო

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

TIES - ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოება

UNDP - გაეროს განვითარების ფონდი

შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ტურისტული მომსახურებებისა და ტურიზმის მრავალი ნაირსახეობის დამკვიდრებასთან. თავის მხრივ, მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და პოპულარული მიმართულება არის ეკოტურიზმი. TIES-ის (ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოება) განმარტებით ეკოტურიზმი წარმოადგენს „ბუნების წიაღში კეთილგონივრულ მოგზაურობას, რომელიც არ აზიანებს გარემოს და ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას“. გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ 2007 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ეკოტურიზმის განვითარება“. პროგრამის მიზანია „დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, ეკოტურიზმის განვითარება და როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ტურისტების მოზიდვა-დაინტერესება“. საქართველოს თავისი ბუნებრივი სილამაზითა და მრავალრიცხოვანი დაცული ტერიტორიით, რომლებიც რეკრეაციის ფართო სპექტრს სთავაზობენ დამსვენებელს, საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია ეკოლოგიურად გათვითცნობიერებული ტურისტის იმგვარად მისაღებად, რომ გაუმჯობესდეს კონსერვაციის დონე, გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები და ამავედროულად შენარჩუნდეს მათი თვითმყოფადობა.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობის უდაო ზრდის ტენდენციებზე მეტყველებს, შესაძლებელია სააგენტოს საქმიანობის ზოგიერთი ასპექტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. პირველ რიგში, ეს პროგრამის შინაარსს ეხება – გამომდინარე იქიდან, რომ ეკოტურიზმის ცნება თავის თავში რამოდენიმე სპეციფიკურ ნიშანთვისებას გულისხმობს, რომელიც მას სხვა სტანდარტული ტურისტული აქტივობებისგან გამოარჩევს: კერძოდ, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და კონსერვაცია, ისინი პროგრამის მიზნებში ნაჩვენებია არ არის. პროგრამაში ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების გარეშე ძნელია შედეგობრივი, ეფექტიანი და კარგად დაბალანსებული ეკოტურიზმის პოლიტიკის წარმართვა.

დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ზოგიერთი ღონისძიება შინაარსობრივად უშუალოდ ეკო ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს (მაგ: დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა ცენტრების მოწყობა, ოჯახური სასტუმროებისათვის სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამების ჩატარება, ტრადიციული ხელსაქმის დანადგარების შექმნა), მაგრამ აღნიშნული აქტივობები „ეკოტურიზმის განვითარების“ პროგრამაში არ მოიაზრებიან.

პროგრამის არადაამაკმაყოფილებელი ხარისხიდან და ღონისძიებების არაკოორდინირებულობიდან გამომდინარე არსებობს რისკები მის ეფექტიანობასა და შედეგობრიობასთან მიმართებაში. მიგვაჩნია, რომ პრობლემა არსებითია როგორც ღირებულებით, ისე ხარისხობრივ კონტექსტში: პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხებით და სხვადასხვა დონორის მხარდაჭერით.

გამოყენებული მეთოდები

აუდიტის კითხვებზე პასუხების მოძიების ძირითად წყაროს წარმოადგენდა არსებული დოკუმენტაცია (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, პროგრამები, ანგარიშები), ასევე დტს-ს შესაბამის განყოფილებებში ჩატარებული ინტერვიუები, გაგზავნილი კითხვარები, წარმოდგენილი ცნობები და ობიექტის უშუალოდ შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

შეფასების კრიტერიუმები

აუდიტის ჯგუფმა გადაწყვიტა ეკო ტურისტული ღონისძიებების ეფექტის შესაფასებლად კრიტერიუმების სახით გამოეყენებინა მსოფლიო ეკოტურისტული საზოგადოების (TIES) მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისოდ აღიარებული 5 უნივერსალური პრინციპი:

- ზემოქმედების მინიმინზაცია (ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ან გაანადგუროს დასათვალიერებელი ბუნებრივი ან კულტურული გარემოს ხასიათი);
- ჩამოყალიბოს გარემოსდაცვითი და კულტურული შემეცნება;
- მოახდინოს ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც სასიამოვნო იქნება როგორც ვიზიტორების, ასევე მასპინძლებისთვისაც;
- მოახდინოს გარემოსდაცვითი ღონისძიებებისთვის პირდაპირი ფინანსური სარგებლის მობილიზაცია (აღნიშნული გულისხმობს შემოსავლების ბუნებრივი გარემოს კონსერვაციის და დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელობის მიზნებისათვის მიმართვას);
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფინანსური სარგებლისა და სოციალური განვითარების შესაძლებლობების შექმნა.

აღნიშნული ფუნდამენტური პრინციპების გარდა კრიტერიუმად გამოყენებული იქნა საქართველოს ნორმატიული აქტები - „საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ“, დტს-ს დებულება, დონორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და სხვა.

აუდიტის შესწავლის საგანი

1. პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარების“ შეფასება

დტს 2007 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ეკო ტურიზმის განვითარება“. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ზოგადად ტურიზმის სახეობის - ეკო ტურიზმის განვითარების ღონისძიებას, რომელიც გულისხმობს ბუნებაში მოგზაურობას და ეფუძნება დაცული ტერიტორიების კონსერვაციას, მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის, თემების კულტურულ თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებას. დებულების მიხედვით, პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი ევალება მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

„ეკოტურიზმის განვითარების“ სახელმწიფო პროგრამა 2009-2010 წლებში მთლიანად ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ყოველწლიურად 250,0 ათ. ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, ეკოტურიზმის განვითარება და ტურისტების მოზიდვა - დაინტერესება.“ გამოყოფილი თანხები მხოლოდ შემეცნებითი და სარეკლამო ღონისძიებების განხორციელებით შემოიფარგლება და არ მოიცავს ეკო ტურიზმის ცნების ძირითად ასპექტებს-კონსერვაციის ღონისძიებებსა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. პროგრამის დაფინანსება არ არის მის მიერ დასახული მიზნების ადეკვატური და ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტის ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტის უზრუნველყოფისათვის საკმარისი. ეკო ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ერთიანი ეკო ტურისტული სტრატეგია და დეტალური პროგრამა, რომელიც სრულად უნდა მოიცავდეს ეკო ტურიზმის განვითარებისკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას. ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ გააჩნია, თუმცა ეკო ტურიზმის შესახებ არსებობს ზოგადი სახის ჩანაწერი დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

2007 წლიდან არ მომხდარა პროგრამის განახლება, წლიდან წლამდე მისი შინაარსი და ფორმა თითქმის უცვლელია, იცვლება მხოლოდ დონორების მიერ გამოყოფილი დაფინანსების მოცულობები სხვადასხვა ღონისძიებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა უკვე რამოდენიმე წელია მიმდინარეობს, მასში არ ყოფილა ასახული რაიმე კონკრეტული საშუალო/გრძელვადიანი მიზნები და ხედვა - თუ რისი მიღწევა სურთ გარკვეული პერიოდის შემდეგ. არ არის განსაზღვრული კონკრეტული რაოდენობრივი მიზნები, რომელთა შეფასებაც და ეტაპობრივი ცვლილებაც უნდა მომხდარიყო პროგრამის განხორციელების შედეგების მიხედვით. მის მოსალოდნელ შედეგებში არ არის ჩანაწერი კონსერვაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ, რის გარეშეც აღნიშნული პროგრამა კარგავს „ეკოლოგიურ“ შინაარსს და მხოლოდ ტურიზმის წახალისების შედეგებზე ორიენტირებულად გვევლინება.

ეკო ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების სრული მასშტაბის გასათვალისწინებლად და შესაბამისად, მათი ეფექტის შესაფასებლად აუცილებელია ყველა ღონისძიების ერთიანად განხილვა. კერძოდ, ცალკეული ეკოტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ღონისძიებების შეფასებისას რთულია დადგინდეს, თუ რა გახდა დამდგარი შედეგის მიზეზი (მოცემული ღონისძიება თუ სხვა ღონისძიება, რომელსაც ირიბი გავლენა აქვს აღნიშნულ საკითხზე). ხშირ შემთხვევაში ეკო ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების განცალკევება სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი ღონისძიებებისაგან იოლი არ არის, თუმცა შინაარსობრივად ერთგვარი ღონისძიებების ერთ პროგრამაში თავმოყრა

მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებას.

განხორციელებული ღონისძიებების ერთიანი სტრუქტურის ქვეშ მოქცევა ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ეკო ტურიზმის ღონისძიებების რეალურ მასშტაბებზე და მიღწეულ შედეგებზე და არა მხოლოდ რაიმე კონკრეტული ქვეპროგრამის მიმდინარეობაზე.


ამავდროულად ღონისძიებების ამგვარი კონსოლიდაცია და განსაზღვრული პრიორიტეტის ქვეშ დაჯგუფება შეესაბამება ახალი საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც სამინისტროებმა 2012 წლიდან ბიუჯეტი უნდა დაგეგმონ პროგრამულად და განსაზღვრონ შესაბამისი ინდიკატორები დასახული მიზნების შესრულების დონის განსაზღვრისათვის.

2. ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შეფასება

2.1 ვიზიტორთა რაოდენობა, მომსახურებები და შემოსავლები


ეკო ტურიზმის განვითარებაში დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რამდენადაც ვიზიტორთათვის საინტერესო ლანდშაფტების, ფაუნისა და ბიომრავალფეროვნების უმეტესობა სწორედ აქ მდებარეობს. ხშირ შემთხვევაში დაცული ტერიტორიების უშუალო სიახლოვესაა განლაგებული კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობით გამორჩეული ადგილობრივი მოსახლეობაც.

საქართველოში ამჟამად 19 ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებულია 39 დაცული ტერიტორია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გეოგრაფიული მდებარეობით, ფართობით, ბიომრავალფეროვნების სიმდიდრითა და ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალით. ჯგუფის მიერ გეოგრაფიული პრინციპის, შემოსავლების სიდიდის, ბიომრავალფეროვნებისა და განვითარების პოტენციალის მიხედვით აუდიტის მიზნებისათვის შეირჩა 6 „საბაზისო“ დაცული ტერიტორია - მტირალა, ლაგოდეხი, თუშეთი, ვაშლოვანი, ბორჯომ-ხარაგაული და კოლხეთი, რომლითაც წარმოდგენილი იქნება მთლიანად დაცული ტერიტორიების სისტემა. დტს-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით მთლიანად დაცულ ტერიტორიებში წლების მიხედვით ვიზიტორთა რიცხოვნობა შემდეგნაირია:




საბაზისო ტერიტორიებისათვის ვიზიტორთა დინამიკა შემდეგნაირია: 2009 წელი - 16 401, 2010 წელი - 70 913 ადამიანი. ვიზიტორთა რაოდენობის აღრიცხვა წარმოებს თითოეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ სპეციალური ფორმების საშუალებით, რომელშიც მიეთითება ვიზიტორთა პირადი მონაცემები. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები არ აწარმოებენ ვიზიტორთა ელექტრონულ აღრიცხვას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა საჭიროების შემთხვევაში მარკეტინგული კვლევის ჩატარება და შესაბამისი სტრატეგიის, მმართველობის და მომსახურებების განვითარების გეგმების შემუშავება ვიზიტორთა ეროვნების, ასაკობრივი ან სოციალური ჯგუფების და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

2009 - 2010 წლებში საბაზისო დაცული ტერიტორიების მიღებული შემოსავლები მოყვანილია გრაფიკის სახით:



ზემოაღნიშნული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომსახურებების მოხმარების და შესაბამისად, შემოსავლების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპებს. ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 4.3-ჯერ, ხოლო შემოსავლები იმავე პერიოდისათვის მხოლოდ 1.4-ჯერ.

რამდენადაც დაცულ ტერიტორიებზე შესვლა უფასოა, მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლები დაცული ტერიტორიების საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს და მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტერიტორიების ფინანსური შესაძლებლობები. დღეისათვის სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორებს რამოდენიმე სახის სერვისს სთავაზობენ, მათ შორის არის საკარვე ადგილების, კარვების, საძილე ტომრების, ცხენების გაქირავება, გიდის მომსახურება, ჯომარდობა, მთის ველოსიპედით სარგებლობა, ცხენით გასეირნება, ბუნგალოებში და ვიზიტორთა ცენტრებში ღამის გასათევი ადგილების გაქირავება და სხვა. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მომსახურებების განვითარება და მათი გამოყენებით მიღებული შემოსავალი არ ჩამორჩეს ვიზიტორთა რაოდენობის მატებას, რაც უზრუნველყოფს გაზრდილი ტურიზმისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის აკუმულირებას დაცულ ტერიტორიებში, ასევე უკეთეს მენეჯმენტსა და კონსერვაციას.



საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით დაცული ტერიტორიების სახელმწიფო დაფინანსება ფარავს სისტემის საჭიროების მხოლოდ 1/3-ს. 2009 წელს დაცული ტერიტორიების სისტემის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 927,9 ათ. ლარი, ხოლო 2010 წელს – 7124,9 ათ. ლარი. (ზრდა გამოწვეული იყო სათაფლიის ინფრასტრუქტურის შექმნა-რეაბილიტაციით.) ვინაიდან ეკო ტურიზმის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების კონსერვაცია და არა მასიური ტურიზმის მეშვეობით შემოსავლების მიღება, ხშირ შემთხვევებში, ლიმიტირებულია პარკის გამტარუნარიანობა, რადგან ტურისტების უკონტროლოდ დიდმა რაოდენობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს დაცულ ტერიტორიას და მის ეკოსისტემას. ამრიგად, პარკების უმეტესობა სახელმწიფოს დოტაციაზეა (გამონაკლისს წარმოადგენს სათაფლიის დაცული ტერიტორია, რომელსაც საკუთარი ხარჯების სრული დაფინანსების რეალური პოტენციალი გააჩნია, რადგან ეკო ტურისტების გარდა მას მრავალი სახის ვიზიტორი სტუმრობს). დტს-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით მიზანშეწონილია ეკოტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა უზრუნველყონ პარკის საჭიროების მინიმუმ 20%. UNDP-ს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის თანახმად¹, დაცული ტერიტორიების სისტემის წლიური დაფინანსების მოცულობა ოპტიმალურ დონეზე 8.6, ხოლო საბაზისო დონეზე 5.7 მილიონი აშშ დოლარით შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე გარკვეული დონის ფინანსური მდგრადობის მისაღწევად დაცული ტერიტორიების საკუთარმა შემოსავლებმა საბაზისო საჭიროების 20% , ანუ წელში 1 140,0 ათ აშშ დოლარი მაინც უნდა შეადგინოს, მაშინ როდესაც მათმა მთლიანმა შემოსავალმა 2009 და 2010 წლებში შესაბამისად 87,2 და 118,1 ათ. ლარი შეადგინა. აღნიშნული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დაცული ტერიტორიების სისტემას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ფინანსური მდგრადობის მისაღწევად, რაშიც სხვა ფაქტორებთან ერთად (როგორცაა ეფექტიანი მმართველობა, შემოსავლის ალტერნატიული წყაროების მოძიება, ხარჯების შემცირება/ეკონომია, ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ) ეკო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია არსებული ეკო ტურისტული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესება და ქსელის გაფართოება, ამ სფეროში პოტენციალის შესწავლა და უკეთესი მარკეტინგი.

უკანასკნელ წლებში განხორციელდა რამოდენიმე კვლევა მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების მონაწილეობით, რომელშიც განხილულ იქნა საქართველოში

¹ „Ensuring Sufficiency and Predictability of Revenues for the Georgia’s Protected Areas System”

დაცული ტერიტორიების შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების საკითხები. კვლევათა უმრავლესობის დასკვნით, არსებული მდგრადობის შენარჩუნების შემთხვევაში, სამომავლოდ შესაძლებელია ორი წყაროს არსებობა - ბიუჯეტის წლიური დაფინანსება და პროექტების ფარგლებში გაწეული დონორთა ფინანსური დახმარება. რაც შეეხება შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს (მაგ.: ეკოსისტემის მომსახურებიდან შემოსავალი), მათი გამონახვის შესაძლებლობები პერსპექტივაში შესაძლებელია, თუმცა ამ ეტაპზე მათი რაოდენობა ძალზედ მწირია.

არსებული დოკუმენტაციის და მიმდინარე ტენდენციების შესწავლამ ცხადყო, რომ ხშირად ბიუჯეტი არაეფექტიანად იგეგმება. დაცული ტერიტორიებისთვის მხოლოდ თანხების გამოყოფა პრობლემას არ წყვეტს, აუცილებელია აგრეთვე მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით ცალკეული დაცული ტერიტორიების ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდა. დაცულ ტერიტორიებზე დასაქმებული მენეჯერები უნდა ფლობდნენ სფეროს გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას, რათა გამოავლინონ დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები, მოგება განკარგონ ეფექტიანად და გამოიყენონ მართვის რენტაბელური მიდგომები.

კარგი ხელმძღვანელობის პირობებში ტურიზმს შეუძლია ხელი შეუწყოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ მდგრადობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მოტანის გზით და ამავდროულად გააუმჯობესოს საერთო ინტერესი და მხარდაჭერა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის. მიუხედავად ამისა კონსერვაციაზე ორიენტირებული ტურიზმის პროექტების განხორციელების შეზღუდული შესაძლებლობა ბარიერად რჩება. ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს რეალური მაგალითები, სახელმძღვანელო პრინციპები და სხვა მოდელები რომლებიც დაანახებდა დაინტერესებულ მხარეებს თუ როგორ შექმნან და მართონ მდგრადი ტურიზმის ბიზნესი, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. სანამ აღნიშნული პრობლემა არ მოგვარდება, ტურიზმი ბიომრავალფეროვნებისა და კონსერვაციის საფრთხედ უფრო დარჩება ვიდრე ხელისშემწყობ ფაქტორად.

დღეის მდგომარეობით სახელმწიფო დაფინანსება მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არაადეკვატურია, ხოლო დონორების ფინანსური დახმარება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში - არასტაბილური და ძნელად პროგნოზირებადი. შესაბამისად, დაფინანსების ნაკლებობის შესავსებად აუცილებელია შემოსავლის ალტერნატიული წყაროების გამოძებნა. აღნიშნული დაფინანსებით დაცული ტერიტორიები შეძლებენ გასცენ სათანადო დონის ხელფასები, გაწიონ მინიმალური საექსპლუატაციო და სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები, რეინჯერთა პროგრამების და მონიტორინგის ხარჯები, შეინარჩუნონ ძირითადი ინფრასტრუქტურა, განახორციელონ მართვის ზოგადი ღონისძიებები.

2.2 ინფრასტრუქტურა

დაცული ტერიტორიების სისტემაში აუდიტის პერიოდში სხვადასხვა დონორის დაფინანსებით მოხდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება.

დაცული ტერიტორიის დასახელება	ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის ელემენტი	დონორი
ბორჯომ – ხარაგაულის ეროვნული პარკი	ვიზიტორთა ცენტრში განხორციელდა რეკონსტრუქცია, მოეწყო 4 ორადგილიანი ნომერი, განახლდა საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები, კაფეტერია და ავტოფარეხი	კავკასიის ბუნების ფონდი
ვაშლივანის ნაკრძალი და ეროვნული პარკი	18 ბუნგალო, 5 თავლა, 5 სარეინჯერო, 6 საპიკნიკე, ნავმისადგომი, ჯეირნების ვოლიერი, 6 ბილიკი	მსოფლიო ბანკი, გარემოს გლობალური ფონდი
თუშეთის ნაკრძალი და ეროვნული პარკი	ადმინისტრაციული შენობა ინტეგრირებულია ვიზიტორთა ცენტრთან, 6 ადგილიანი და 1 სამადგილიანი ნომერი, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია და საგამოფენო დარბაზი, 2 სარეინჯერო, 1 საპიკნიკე, 2 თავლა, 11 ბილიკი, ჰელიო სისტემები პარკის ადმინისტრაციის, ოჯახური სასტუმროებისა და 12 მომთაბარე მეცხვარისათვის	მსოფლიო ბანკი, გარემოს გლობალური ფონდი, ჩეხეთის განვითარების სააგენტო
მტირალას ეროვნული პარკი	სოფ. ჩაქვისთავში 4 ორადგილიანი ნომერი, საგამოფენო დარბაზი და კაფეტერია აღჭურვილი ჰელიოსისტემებით, 1 ბილიკი საპიკნიკე და საკარვე ადგილით, 2 საოჯახო სასტუმრო 9 და 8 ადამიანზე, ჰელიო სისტემები საოჯახო სასტუმროსა და საოჯახო რესტორანში, მოეწყო მაღაზია ინტერნეტ კაფეთი, ამბულატორია და ბიბლიოთეკა, შემენილია 5 ცხენი და აღჭურვილობა, 5 ცალი სამთო ველოსიპედი, თაფლის და ფიჭის საწარმო. ფუტკრის სკის საწარმო, თაფლის მაღაზია დაბა ჩაქვში. ცენტრალური შესასვლელის რეინჯერთა საგუმავო აღჭურვილი ჰელიოსისტემებით, 8 ადგილიანი ტურისტული თავშესაფარი ჰელიო სისტემით, 1 ბილიკი, 3 საპიკნიკე და საკარვე ადგილი.	ევრაზიის პარტნიორობის ფონდი





როგორც ცხრილიდან ჩანს, 2009-2010 წლებში მოხდა ეკო ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა /რეაბილიტაცია, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. სულ დტს-ს მიერ აუდიტის პერიოდში

2.2 ინფრასტრუქტურა

დაცული ტერიტორიების სისტემაში აუდიტის პერიოდში სხვადასხვა დონორის დაფინანსებით მოხდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება.

დაცული ტერიტორიის დასახელება	ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის ელემენტი	დონორი
ბორჯომ – ხარაგაულის ეროვნული პარკი	ვიზიტორთა ცენტრში განხორციელდა რეკონსტრუქცია, მოეწყო 4 ორადგილიანი ნომერი, განახლდა საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები, კაფეტერია და ავტოფარეხი	კავკასიის ბუნების ფონდი
ვაშლოვანის ნაკრძალი და ეროვნული პარკი	18 ბუნგალო, 5 თავლა, 5 სარეინჯერო, 6 საპიკნიკე, ნავმისადგომი, ჯეირნების ვოლიერი, 6 ბილიკი	მსოფლიო ბანკი, გარემოს გლობალური ფონდი
თუშეთის ნაკრძალი და ეროვნული პარკი	ადმინისტრაციული შენობა ინტეგრირებულია ვიზიტორთა ცენტრთან, 6 ადგილიანი და 1 სამადგილიანი ნომერი, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია და საგამოფენო დარბაზი, 2 სარეინჯერო, 1 საპიკნიკე, 2 თავლა, 11 ბილიკი, ჰელიო სისტემები პარკის ადმინისტრაციის, ოჯახური სასტუმროებისა და 12 მომთაბარე მეცხვარისათვის	მსოფლიო ბანკი, გარემოს გლობალური ფონდი, ჩეხეთის განვითარების სააგენტო
მტირალას ეროვნული პარკი	სოფ. ჩაქვისთავში 4 ორადგილიანი ნომერი, საგამოფენო დარბაზი და კაფეტერია აღჭურვილი ჰელიოსისტემებით, 1 ბილიკი საპიკნიკე და საკარვე ადგილით, 2 საოჯახო სასტუმრო 9 და 8 ადამიანზე, ჰელიო სისტემები საოჯახო სასტუმროსა და საოჯახო რესტორანში, მოეწყო მაღაზია ინტერნეტ კაფეთი, ამბულატორია და ბიბლიოთეკა, შეძენილია 5 ცხენი და აღჭურვილობა, 5 ცალი სამთო ველოსიპედი, თაფლის და ფიჭის საწარმო. ფუტკრის სკის საწარმო, თაფლის მაღაზია დაბა ჩაქვში. ცენტრალური შესასვლელის რეინჯერთა საგუშაგო აღჭურვილი ჰელიოსისტემებით, 8 ადგილიანი ტურისტული თავშესაფარი ჰელიო სისტემით, 1 ბილიკი, 3 საპიკნიკე და საკარვე ადგილი.	ევრაზიის პარტნიორობის ფონდი



როგორც ცხრილიდან ჩანს, 2009-2010 წლებში მოხდა ეკო ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა /რეაბილიტაცია, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. სულ დტს-ს მიერ აუდიტის პერიოდში

მიღებულია 6 606,5 ათ. ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რეინჯერთა სადგურები და ტურისტული ბილიკები. მიუხედავად ეკო ტურიზმის ზრდის პოზიტიური ტენდენციისა, დაცულ ტერიტორიებში არსებული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ჯერ მხოლოდ საშუალოზე ნაკლებადაა დატვირთული. კერძოდ, თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე არსებულმა ვიზიტორთა ცენტრმა 15 ადამიანზე სეზონის განმავლობაში (მაისი-სექტემბერი, 4 თვე) მიიღო 161 ადამიანი, როდესაც სრული დატვირთვის პირობებში შეეძლო 1800 ადამიანის მიღება, რაც მაქსიმალური შესაძლებლობის 10%-ზე ნაკლებია. თუშეთის დაცული ტერიტორიისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ინფრასტრუქტურის საკითხი, რამდენადაც მისასვლელი გზის არაადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ელექტროენერჯისა და წყლის პრობლემები ხელს უშლის ამ ტერიტორიის პოტენციალის სრულ რეალიზაციას. ანალოგიურად, არსებული შესაძლებლობის დაახლოებით 10%-ით არის დატვირთული სხვა დაცული ტერიტორიების - მტირალას, ვაშლოვანის, კოლხეთის – ვიზიტორთა ცენტრებიც, ხოლო ლაგოდეხის ვიზიტორთა ცენტრი (სასტუმრო) 2010 წლიდან გაცემულია იჯარით.



აღნიშვნის ღირსია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული თუშეთის განახლებადი ენერგომომარაგებით უზრუნველყოფის პროექტი - სასტუმროების, მეცხვარეებისა და დაცული ტერიტორიების ჰელიო სისტემებით უზრუნველყოფა (ბიუჯეტი 350 ათ. ევრო). პროექტის განმახორციელებელი იყო ახმეტის მუნიციპალიტეტი, ხოლო დღეს ახდენდა კოორდინირებას ადგილზე კვალიფიციური კადრების არარსებობის გამო. ჰელიო (მზის) ენერჯის გამოყენებით წარმოებული ელექტროენერჯია ეკოლოგოგიურად სუფთაა და ეკო ტურიზმის იდეასთან სრულ შესაბამისობაშია, ამავდროულად შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას თუშეთში არსებული ელექტროენერჯის პრობლემა და გაუმჯობესდეს ეკო ტურიზმის გარემო. მსგავსი პროექტი ასევე განხორციელდა მტირალას ეროვნულ პარკში და იგეგმება შემდგომშიც.

2.3 გარემოსდაცვითი ცნობიერება, პრომოუშენი (სარეკლამო ღონისძიებები) და სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობა /სასწავლო პროგრამები

მოსახლეობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია განვითარებული სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნული გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობას.

ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსახლეობისთვის კონსერვაციის მნიშვნელობის/სარგებლის გაცნობის გარდა, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ

მცხოვრები მოსახლეობის კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება, ასევე ინტერესთა შესაძლო ურთიერთგადაკვეთის და კონფლიქტების თავიდან აცილება.

დტს ეწევა ეკო საგანმანათლებლო საქმიანობას სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2009-2010 წლებში ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებებში შესაბამისად 18 558 და 48 099 ადამიანი მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული საქმიანობა ძირითადად ლექცია-სემინარების და სკოლებში ჩატარებული ღია გაკვეთილების სახეს ატარებდა, ასევე ხდებოდა ეკო ბანაკების, ეკო ტურების, გამოფენების, ხეების დარგვისა და ტერიტორიების დასუფთავების აქციების მოწყობაც.



დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლებისათვის სხვადასხვა პროგრამიდან ჩატარებულია მრავალი სასწავლო ღონისძიება მართვის კუთხით, თუმცა ეკო ტურიზმის თვალსაზრისით აღსანიშნავია თუშეთის 15 ადგილობრივი მეწარმისათვის (სასტუმროს მფლობელები) ჩატარებული სწავლებები ბულატრულ აღრიცხვასა და ინგლისურ ენაში, საოჯახო სასტუმროებისა და ტუროპერატორების წარმატებული თანამშრომლობის თემებზე (კაუკასუს ტრეველი), ბიზნესის დაგეგმვასა და მართვაში (ბიო ფერმერთა ასოციაცია „ელკანა“).

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ აუდიტის პერიოდში გატარდა ღონისძიებები დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისათვის და ეკო ტურიზმის ხელშესაწყობად. ეს ღონისძიებები სარეკლამო ხასიათს ატარებდა და მოიცავდა როგორც სატელევიზიო, ისე ბეჭდვითი სარეკლამო მასალის დამზადებასა და საზოგადოებისთვის მიწოდებას. პროგრამის „ეკოტურიზმის განვითარება“ ფარგლებში განხორციელდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდის განახლება. დტს-მ მონაწილეობა მიიღო-2009 წელს ბერლინში, ხოლო 2010 წელს ლონდონში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში.



ამავე სამსახურის მიერ პერიოდულად ხდებოდა საქართველოში მოქმედი ტურ ოპერატორების დაცულ ტერიტორიებში მიწვევა და საკუთარი საქმიანობისა თუ კონკრეტული დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის ადგილზე გაცნობა.

3. პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარების“ შედეგების მონიტორინგის მდგომარეობა

ნებისმიერი პროგრამისათვის მნიშვნელოვანია კარგად ფუნქციონირებადი და საიმედო მონიტორინგის არსებობა. ეს განსაკუთრებით მრავალწლიან პროექტებს ეხება, იმდენად რამდენადაც ნებისმიერი აქტივობის რეალური ეფექტის შესაფასებლად აუცილებელია მიღწეული შედეგების გაზომვა და მისი გრძელვადიანი გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებთან შედარება. ეს პროცედურა საშუალებას აძლევს ხელმძღვანელობას განახორციელოს აუცილებელი ცვლილებები.

დტს ყოველწლიურად ამზადებს წლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე. კონკრეტულად ცალკე ანგარიშებს ეკოტურიზმის შესახებ დტს არ აწარმოებს.

აუდირებულ პერიოდში დტს-ს არ ჩაუტარებია დამოუკიდებელი კვლევა ეკო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების მიერ მოტანილი ეფექტის შესაფასებლად. სააგენტო იყენებს „გორბის“ მიერ 2007 წელს ჩატარებული გამოკითხვის ფორმებს. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები საკუთარი რესურსის გამოყენებით ყოველწლიურად ატარებენ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვებს ამ ფორმების მიხედვით.

ეკო ტურიზმის განვითარების ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტის შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ცვლილების განსაზღვრა საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

სააგენტოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ადგენენ წლიურ გარემოსდაცვით ანგარიშებს, რომლის კონსოლიდირება და განხილვა ხდება დტს-ს მიერ. ზოგადად 2009 წლიდან ბუნებათსარგებლობის წესების დარღვევების მხრივ (უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა, უკანონო ძოვების ფაქტები და სხვა) სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ როგორც ეკო ცნობიერების, ისე ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების ღონისძიებებისაგან კონსერვაციისათვის საგრძნობი პოზიტიური ეფექტის მისაღებად გარკვეული დროა საჭირო, რამდენადაც მოსახლეობის ცნობიერების შეცვლა და ეკონომიკური ეფექტის მოსახლეობის ყოველდღიური საქმიანობაზე ასახვა მყისიერად არ ხდება.

დასკვნები

- პროგრამის დაფინანსება არ არის მის მიერ დასახული მიზნების ადექვატური. სერვისების განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას.
- ეკო ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა ერთიანი სტრატეგია და დეტალური პროგრამა, რომელიც სრულად უნდა მოიცავდეს ეკო ტურიზმის განვითარებისკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას. აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა კოორდინირებას მოკლებულ ცალკეულ ღონისძიებებს წარმოადგენს.

- პროგრამა „ეკო ტურიზმის განვითარება“ სრულად არ მიესადაგება ეკო ტურიზმის განვითარების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.
- აუდიტის პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ ჩაუტარებია დამოუკიდებელი კვლევა ეკო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ეფექტის შესაფასებლად. არ არის განსაზღვრული მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისა და კონსერვაციის გაუმჯობესების შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდაციები

- ეკო ტურიზმის განვითარებისთვის უნდა შეიქმნას ერთიანი სტრატეგია და დეტალური პროგრამა, რომელიც სრულად უნდა მოიცავდეს ეკო ტურიზმის განვითარებისკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას.
 - მეტი ყურადღება მიექცეს დაცულ ტერიტორიებში სხვადასხვა მომსახურებების შექმნას და გაუმჯობესებას.
 - რეგულარულად ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევები არსებული პროგრამების მიზნების მიღწევის რეალური შეფასებისთვის, რაც ხელს შეუწყობს პროგრესის მონიტორინგს და არსებული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრას.
 - სასურველია შეიქმნას შეფასების შიდა დოკუმენტი, სადაც გამახვილებული იქნება ყურადღება თუ რა სახის სირთულეებს და წინააღმდეგობებს წააწყდა დტს ხელმძღვანელობა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას, თუ რა პრობლემებს ჰქონდა ადგილი. სუსტი რგოლების განხილვა ხელს შეუწყობს ნაკლოვანებების აღმოფხვრის, სერვისების ეფექტიანობის გაზრდის და დახვეწის საკითხებში.
 - ეფექტურობის ამაღლების მიზნით აუცილებელია ცალკეული დაცული ტერიტორიების მართვის და მარკეტინგის გაუმჯობესება. მენეჯერებს უნდა გააჩნდეთ ამ სფეროში ბიზნესის გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რათა გამოავლინონ დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები, მოგება განკარგონ ეფექტიანად და გამოიყენონ მართვის რენტაბელური მიდგომები.
 - არსებული სწავლებები ადგილობრივ მცირე მეწარმეებთან, მოსახლეობასთან და ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებთან მომავალშიც აქტიურად განხორციელდეს.
 - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებმა გააუმჯობესონ და მოაწესრიგონ ვიზიტორთა აღრიცხვიანობა, მაგალითად, ელექტრონულ რეესტრის სახით, რაც გააადვილებს მარკეტინგული კვლევის ჩატარებას და შესაბამისი სტრატეგიის, მმართველობის და მომსახურებების განვითარების გეგმების შემუშავებას.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი
ელენე ელიზარაშვილი

აუდიტორ-ასისტენტი
გიორგი კაპანაძე